

გენდერული სტერეოტიპები გასართობ თოქ-შოუებში (ნანუკას შოუ,
პროფილი)

მკვლევარი - ნანა ფერაძე

თანამკვლევარები - გიგა ჭკადუა, ლაშა ხმალაძე

მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი - მრავალფეროვნების გამუქება

ლექტორი - თამარ კინწურაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი

2012-2013 წელი

სარჩევი

თავი I: შესავალი	3
თავი II: საკანონმდებლო ნორმები	4
თავი III: ლიტერატურის მიმოხილვა	6
თავი IV: კვლევის მეთოდი	9
თავი V: მონაცემთა ანალიზი	10
თავი VI: შედეგები	17
თავი VII: ბიბლიოგრაფია	19

I. შესავალი

კვლევის/მედია მონიტორინგის მიზანი მედიაში, კერძოდ კი გასართობ თოქ-შოუებში, გენდერული სტერეოტიპების გამოყენების კვლევაა. ეს თემა შეირჩა იმიტომ, რომ ქალთა ტრადიციული როლის მნიშვნელოვანი ცვლილების მიუხედავად, ქალებისადმი სტერეოტიპული დამოკიდებულება ძალიან ხშირია. რაც ქმნის წარმოდგენას, რომ საქართველო კვლავ პატრიარქალური საზოგადოებაა და გენდერული თანასწორობის თემა საკმაოდ მწვავედ დგას. ეს ასევე აშკარაა ქართულ მედიაშიც. ჟურნალისტები არ არიან გათვითცნობიერებულები გენდერის საკითხებში და შესაბამისად, გენდერული სტერეოტიპებით აზროვნებენ. ქალებსა და ქალთა თემაზე მომზადებული სიუჟეტები ძირითადად არა თუ ამცირებს სტერეოტიპებს, არამედ პირიქით, აძლიერებს.

სანამ უშუალოდ მონიტორინგის მიმოხილვის პროცესზე გადავიდოდეთ აუცილებელია განვმარტოთ ზოგიერთი ტერმინი. როგორცაა:

- **გენდერი**¹ - ტერმინი „გენდერი“ აღნიშნავს ქალებისა და მამაკაცების სოციალურად კონსტრუირებულ როლებს რომელიც მიეწერებათ მათ სქესობრივი ნიშნის მიხედვით. ამდენად გენდერული როლები დამოკიდებულია კონკრეტულ სოციო-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტუროლოგიურ კონტექსტზე და განიცდის სხვადასხვა ფაქტორების გავლენას რასის, ეთნიკურობის, კლასის, სექსუალური ორიენტაციის და ასაკის მიხედვით. გენდერული როლების შესწავლა ხდება და ფართოდ განსხვავდება თითოეული კულტურის ფარგლებში და კულტურებს შორის. პიროვნების ბიოლოგიური სქესისგან განსხვავებით გენდერული როლები შეიძლება შეიცვალოს.
- **გენდერული სტერეოტიპი**²-ფართოდ გავრცელებული და ხშირად არაზუსტი შეხედულებები ქალისა და მამაკაცის უნარებზე, თვისებებსა და სოციალურ ქცევაზე.
- **სექსისტური ენა**³- ისეთი სიტყვები, გამონათქვამები თუ შეფასებები, რომლებითაც ხდება ადამიანის დისკრიმინაცია სქესის საფუძველზე.

¹ ბრანდერი პატრიცია. კომპასი : სახელმძღვ. ადამიანის უფლებათა განათლ. სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით / ავტ.: პატრიცია ბრანდერი, რუი გომესი, ელი კინი და სხვ. ; [მთარგმნ.: მაკა წულუკიძე, ტატა პატარაია ; რედ.: პატრიცია ბრანდერი და სხვ., ქართ. გამოც. რედ.: გიორგი კენჭოშვილი] ; მხატვ.: პანჩო - [თბ.], 2004,

² პოლიტიკაში ქალთა დაწინაურების კამპანია და პოლიტიკოსის უნარ-ჩვევები. – [სახელმძღვანელო ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი]. – თბილისი. – 2006.

სექსისტური ენა გულისხმობს გამონათქვამებს, რომლებიც ამცირებს ქალთა მნიშვნელობას და წვლილს, აკნინებს მათ როლს, საზოგადოებაში, ლახავს მათ უფლებებს და შეურაცხმყოფელია ქალისათვის. (მაგალითად, ქალის ისეთი დახასიათება, როგორიცაა: „კაცს ტოლს არ უდებს“, „კაცივით ჭკვიანია“ და ა.შ.).

II. საკანონმდებლო ნორმები

აღსანიშნავია ასევე ისიც რომ გენდერული საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით არსებობს გარკვეული საკანონმდებლო ნორმები, რომლებიც სამაუწყებლო მედიაზე ვრცელდება. ასეთია საქართველოს კანონი „მაუწყებლობის შესახებ“ და ამ კანონის საფუძველზე კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ მიღებული „მაუწყებელთა ქცევის კოდექსი“ განსაზღვრავს ნორმებს, რომლებიც გენდერული საკითხების გაშუქებას ეხება. მიუხედავად იმისა რომ კოდექსი კანონმდებლობის საფუძველზეა შექმნილი, მისი იმპლემენტაცია თვითრეგულირების სფეროს განეკუთვნება.

1. *საქართველოს კანონი მაუწყებლობის შესახებ ავალდებულებს საზოგადოებრივ მაუწყებელს:*

თავი IX

მრავალფეროვნება, თანასწორობა და შემწყნარებლობა

მუხლი 31. მრავალფეროვნებისა, თანასწორობისა და შემწყნარებლობის პრინციპი

მაუწყებელმა თავი უნდა შეიკავოს ისეთი მასალის გამოქვეყნებისგან, რომელიც გააღვივებს სიძულვილს ან არატოლერანტობას რასის, ენის, სქესის, რელიგიური კუთვნილების, პოლიტიკური შეხედულებების, ეთნიკური, გეოგრაფიული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე.

მუხლი 32. მაუწყებლის მიერ მრავალფეროვნების, თანასწორობის და შემწყნარებლობის პრინციპების დაცვისადმი წაყენებული მოთხოვნები (წესები)

1. მაუწყებელი ვალდებულია სამაუწყებლო ბადეში განათავსოს ზუსტი და სარწმუნო, დაბალანსებული, პროპორციული და თანაზომადი ინფორმაცია საქართველოში მცხოვრებ ყველა კულტურულ, რელიგიურ, ეთნიკურ ჯგუფზე და სოციალურ ფენაზე სამართლიანობის და მიუკერძოებლობის პრინციპების დაცვით.

³ ქეთევან მსხილაძე. “გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში“. მედიის განვითარების ფონდის (MDF). 2011

2. მაუწყებელმა პატივი უნდა სცეს აზრის, სინდისის, რწმენის და აღმსარებლობის თავისუფლების ფუნდამენტურ უფლებებს და თავიდან აიცილოს ნებისმიერი ეთნიკური, რელიგიური, კულტურული ან სოციალური ჯგუფის შეურაცხყოფა.

მუხლი 33. სახელმძღვანელო რეკომენდაციები მაუწყებლის მიერ მრავალფეროვნების, თანასწორობის და ტოლერანტობისპრინციპების დაცვის შესახებ

2. მაუწყებელმა თავი უნდა აარიდოს უმცირესობების და სოციალური პრობლემების შესახებ არასწორი და შეცდომაში შემყვანი განცხადებების გაკეთებას, ხელი არ უნდა შეუწყოს სტერეოტიპების ჩამოყალიბებას, აუცილებლობის გარეშე არ უნდა აღნიშნოს პირის ეთნიკური წარმოშობა და რელიგიური მრწამსი.

3. მაუწყებელმა თავიდან უნდა აიცილოს რელიგიური, ეთნიკური, ან სხვა ნიშნის მიხედვით რომელიმე ჯგუფის შეურაცხყოფა, მათ შორის გარკვეული ლექსიკის ან გამოსახულების გამოყენება. ეს მოთხოვნა არ უკრძალავს მაუწყებელს, ხელი შეუწყოს ინფორმირებულ და არაცალმხრივ დისკუსიას შეუწყნარებლობის ან დისკრიმინაციის საკითხებზე, ან გადასცეს ფაქტობრივი მასალა ან საზოგადოებაში რეალურად არსებული მოსაზრება.

4. თუ წყარო პირდაპირ ეთერში ან ახალ ამბებში უსაფუძვლოდ ასახელებს ეთნიკურ წარმომავლობას, რელიგიურ მრწამსს, სექსუალურ ორიენტაციას, ოჯახურ ან ქონებრივ მდგომარეობას, სოციალურ კუთვნილებას, ან ნებისმიერ სხვა ნიშანს, როგორც პრობლემის გამომწვევ მიზეზს ან იყენებს შეურაცხმყოფელ ტერმინოლოგიას რომელიმე ჯგუფის მიმართ, წამყვანი არ უნდა აყვეს ასეთ დიალოგს და შეეცადოს შეურაცხმყოფელი განცხადების ავტორს დაუსვას შეკითხვა გამოთქმული მოსაზრების დასაბუთების მიზნით.

2.საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია

ეთიკის ქარტია ჟურნალისტთა პროფესიული გაერთიანებაა და მისი კომპეტენცია ორგანიზაციაში გაწევრიანებულ მედია საშუალებებზე ვრელდება. იგი ნაწილობრივ ბეჭდვით მედიასაც ფარავს. ეთიკის ქარტია არასავალდებულო ხასიათისაა ქვეყნის კოდექსისგან განსხვავებით.

მუხლი 7. ჟურნალისტს უნდა ესმოდეს მედიის მიერ დისკრიმინაციის წახალისების საფრთხე; ამიტომ ყველაფერი უნდა იღონოს ნებისმიერი პირის დისკრიმინაციის თავიდან ასაცილებლად რასის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, ენის,

რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის საფუძველზე ან რაიმე სხვა ნიშნით.

III. ლიტერატურის მიმოხილვა

გენდერული სტერეოტიპების გაშუქებაზე, ქართულ მედია გადაცემებში, რამდენიმე საინტერესო კვლევაა ჩატარებული. ერთ-ერთი, 2011 წლის აპრილ-მაისში, „მედიის განვითარების ფონდი“ს (MDF) მიერ ჩატარებული კვლევაა „გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში“⁴. ზემოთ ხსენებულ კვლევაში მონიტორინგის ობიექტები არამხოლოდ სატელევიზიო გასართობი თოქ-შოუები არამედ სხვადასხვა ბეჭდური გამოცემებიც არიან. სულ ხუთი ტელეარხი⁵ და ამ არხზე არსებული მთავარი საინფორმაციო გამოშვებები და 6 გაზეთი.⁶ წინამდებარე კვლევა ფოკუსირებული იყო იმ ჟურნალისტურ მასალაზე, რომელშიც ქალები და ქალებთან დაკავშირებული საკითხები შუქდებოდა. კვლევის შედეგებმა აჩვენა რომ ქართულ მედიაში სტერეოტიპული აზროვნება და მიდგომები ჭარბობს. ქალებსა და ქალთა საკითხებზე მომზადებული ჟურნალისტური მასალების უმეტესობა გენდერულ სტერეოტიპებს არათუ ამცირებს, არამედ პირიქით აძლიერებს. მონიტორინგის შედეგებისას აღმოჩნდა რომ ქალები უფრო ხშირად ჩნდებიან ისეთი საკითხების კომენტარებისას, როგორებიცაა განთლება, მედიცინა, სოციალური პრობლემები, ფსიქოლოგიის საკითხები, მედია. ანუ იმ სფეროებში, რომლებშიც პროფესიონალი ქალები უფრო მრავლად არიან და ჟურნალისტებს არ უჭირთ მათი პოვნა. განსაკუთრებით თვალშისაცემია ქალთა პრობლემების გაშუქებისადმი არაპროფესიონალური მიდგომა. გაზეთ „ქრონიკა“-ს აქვს მუდმივი რუბრიკა - ოჯახური ძალადობა, სადაც მოთხრობილია მამაკაცების მიერ, მოტყუებული და მიტოვებული ქალების ისტორიები. იმის მაგივრად რომ აღნიშნული პრობლემები პროფესიულად შუქდებოდეს, ერთგვარ „თავშესაქცევ“ საკითხავად არის ქცეული. რაც სამწუხაროდ მეორე ხარისხოვანს ხდის პრობლემას და აძლიერებს ქალების, როგორც „სუსტის სქესის“ წარმომადგენლების აღქმას, რაც ბუნებრივია სტერეოტიპულია.

მონიტორინგის განმავლობაში სხვადასხვა საინფორმაციო გამოშვებების სიუჟეტებში, ნათლად ჩანს უამრავი სტერეოტიპი, რომლებიც ქალის როლის დამახინჯებასა და არასწორად გააზრების თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს.

⁴ ქეთი მსხილაძე - მედიის განვითარების ფონდი, 2011

<http://mdfgeorgia.ge/index.php?menuid=57&lang=1>

⁵ პირველი არხი, რუსთავი 2, იმედი, მანეტრო, და კავკასია.

⁶ რეზონანსი, ასავალ-დასავალი, ალია, კვირის პალიტრა, ქრონიკა, 24 საათი.

ქვემოთ ჩამოთვლილი იქნება რამდენიმე სტერეოტიპი, რომლებიც მკვლევარმა აღმოაჩნა საკითხების გაშუქების პროცესში. ესენია:

- ქალს მარტო ჩაცმა-დახურვა აინტერესებს;
- ქალში მთავარი გარეგნობაა;
- ქალმა მანქანა კი არ უნდა მართოს, შვილებს უნდა მიხედოს;
- მხოლოდ ქალებს სტკივათ/იტანჯებიან;
- მამაკაცები სამსახურში უნდა იყვნენ, ქალები კი სამზარეულოში;
- ქალი სუსტია და ვერ უძლებს სტრესს, ამიტომ მუშაობა ქალის საქმე არაა.
- ოჯახური პრობლემები მხოლოდ ქალებს ადარდებთ.

აღნიშნული მედიასაშუალებების განმეორებითი კვლევისას, ზემოთჩამოთვლილი სტერეოტიპების ნუსხას შეემატა კიდევ რამდენიმე გენდერული სტერეოტიპი, როგორცაა :

- ბავშვის აღზრდა მხოლოდ დედის საქმეა, ბავშვთან დაკავშირებულ ნებისმიერ პრობლემაში დედაა დამნაშავე, რადგან მას უფრო დიდი მისია, მუშაობა აკისრია;
- სერიოზულ თემებზე საუბარი მხოლოდ მამაკაცებს ხელეწიფებათ და პოლიტიკაზე ქალებს მოსაზრებების გამოთქმა არ შეუძლიათ;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლი მხოლოდ ქალია;
- ქალი მამაკაცზე დაბალი რანგის არსებაა.

უკანასკნელი სტერეოტიპი „ქალი მამაკაცზე დაბალი რანგის არსებაა“ განსაკუთრებით მყარდება „კვირის პალიტრის“ მუდმივ რუბრიკაში, რომელსაც ჰქვია „თქვენთვის ქალბატონებო“. „აღნიშნულ რუბრიკას არანაირი საინფორმაციო და საგანმანათლებლო ღირებულება არ გააჩნია. თავად რუბრიკის სათაური უკვე გენდერმგრძობიარობის ნაკლებობის მაჩვენებელია. ქალებისადმი მიძღვნილი რუბრიკები უფრო გენდერული უთანასწორობის მაჩვენებელია. ეს გენდერული ბალანსის არასწორი გაგებაა. თავად ფაქტი რომ ქალთა საკითხები ცალკე არის გამოყოფილი, გენდერული თანასწორობის დარღვევაა. ქალების მოსაზრებები უნდა ისმოდეს მამაკაცების მოსაზრებების პარალელურად. ქალთა თემები ისევე უნდა შუქდებოდეს, როგორც ნებისმიერი სხვა თემა. გამორჩევა არ ნიშნავს თანასწორობას, პირიქით, გამორჩევა აძლიერებს სტერეოტიპს, რომ ქალი მამაკაცზე დაბალი რანგის

არსებაა და ამის საკომპენსაციოდ ქალს რაიმე შეღავათი უნდა გაუკეთდეს, მაგალითად გაზეთში ცალკე რუბრიკა.”⁷

მეორე ასევე საინტერესო და მრავალფეროვან კვლევას გვთავაზობს „მედიის განვითარების ფონდი“, მის მიერ ჩატარებული მონიტორინგი „შემეცნებით-გასართობი თოქ-შოუები და მედია სტანდარტი“⁸ მოიცავდა საქართველოს სამი ნაციონალური არხის „რუსთავი 2“-ის, „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ და ტელეკომპანია „იმედის“ გასართობ, საზოგადოებრივ და შემეცნებით(არაპოლიტიურ) თოქ-შოუებს. ნინია კაკაბაძის მიერ ჩატარებული კვლევა მოიცავს 5 სატელევიზიო გადაცემას: „ნანუკას შოუ“, „პროფილი“, „აუდიტორია“, „ცხოვრება მშვენიერია“, „100 გრადუსი ცელსიუსით“. ყველა ზემოთხსენებული გადაცემის საერთო ნიშანი გასართობი, საზოგადოებრივი, სანახაობრივი, შენეცნებითი თოქ-შოუებია, სადაც ყველა თემა პოლიტიკის გარდა.

ნინია კაკაბაძის მიერ ჩატარებული კვლევა ფოკუსირებულია არაა გენდერული სტერეოტიპების აღმოჩენაზე, არამედ ზოგადად დაღვევებზე, რომლებიც შეუსაბამოა მაუწყებელთა ქცევის კოდექსთან. მკვლევარი აქცენტს აკეთებს ეთნიკური განსხვავებულობის დისკრინიმაციულ ხაზგასმაზე, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევებზე, ადამიანის პირადი ტრაგედიის ხელშეუხებლობის უფლებაზე, ანტისოციალური ქცევების პროპაგანდაზე და მის არასწორად გაშუქებაზე, რელიგიური უმცირესობების გაშუქების თავისებურებებსა და დარღვევებზე, თუმცა მიუხედავად იმისა რომ ზემოთაღნიშნული კვლევა ფოკუსირებას გენდერის გაშუქებაზე არ აკეთებს, კვლევის მეთოდები და მიდგომები რომელსაც მკვლევარი იყენებს, საინტერესო იყო კვლევითი პროექტის დაგეგმვაში.

ზემოთ განხილული სამივე კვლევიდან არც ერთი არ იყო ფოკუსირებული გენდერულ სტერეოტიპებზე გასართობ თოქ-შოუებში. პირველი ორი კვლევა, მართალია აქცენტს გენდერულ სტერეოტიპებზე ახდენდა, თუმცა ამ შემთხვევაში მონიტორინგის სამიზნე გადაცემები, ახალი ამბები იყო. ნინია კაკაბაძის კვლევა, მიუხედავად იმისა რომ იკვლევდა შემეცნებით-გასართობ თოქ-შოუებს, მათ მხოლოდ მედიასტანდარტთან შესაბამისობაში განიხილავდა. ქვემოთ მოცემული კვლევა კი სპეციფიურად გასართობ გადაცემებზე იქნება ფოკუსირებული, რადგან ასეთი გადაცემებით ყველაზე მეტად ხდება საზოგადოებაში არსებული

⁷ ქეთევან მსხილაძე. „გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში“. მედიის განვითარების ფონდის (MDF). 2011

⁸ მედია ექსპერტი - ნინია კაკაბაძე, მედიის განვითარების ფონდი. 2012
<http://www.mdforgeorgia.ge/index.php?menuid=4&lang=1&id=83>

სტერეოტიპების ტირაჟირება. ასევე, კვლევა „გენდერული სტერეოტიპები გასართობ თოქ-შოუებში (ნანუკას შოუ, პროფილი)“ გთავაზობთ შედარებას, შეიცვალა თუ არა გენდერული სტერეოტიპების გამოყენების თვალსაზრისით მდგომარეობა, ქეთი მსხილაძის კვლევის შედეგებთან და პერიოდთან შედარებით.

კვლევა, რომლის ანგარიშსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ, ეწოდება **გენდერული სტერეოტიპები გასართობ თოქ-შოუებში - „ნანუკას შოუ“ და „პროფილი“**.

IV. კვლევის მეთოდი

ისევე როგორც ადრე ჩატარებულ მსგავს კვლევებში, რომლების ზემოთ გავნიხილეთ, წინამდებარე კვლევის მეთოდიც კონტენტ-ანალიზია.

კონტენტ-ანალიზი⁹ გამოიყენება როგორც ტექსტებზე (მაგ: სტატიები, მოხსენებები, ისტორიული მასალები, წერილები და სხვ.) ასევე სხვა ტიპის მასალაზე მუშაობისათვის (მაგ: ხელოვნებისა და არქიტექტურის ნიმუშები).

კონტენტ-ანალიზი მოიცავს ორ კომპონენტს: მექანიკურს და ინტერპრეტაციულს. მექანიკური ასპექტი ნიშნავს ტექსტის ორგანიზებას და მონაცემების კატეგორიებად დაყოფას, ხოლო ინტერპრეტაციული მოიცავს იმის დასაბუთებას, თუ რომელი კატეგორიაა მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე. ეს ორი კომპონენტი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

არსებობს კონტენტ-ანალიზის სამი ძირითადი სახე: თვისებრივი, რაოდენობრივი და სტრუქტურული.

თვისებრივი კონტენტ-ანალიზი (აღნიშნული მედია-მონიტორინგისას გამოყენებული კვლევის მეთოდი)

ეს მეთოდი შედარებით სუბიექტურია და ნაკლებად ამყდვენებს იმ მეთოდებს, რომელთა მეშვეობითაც ხდება სამიზნე მასალის ინტერპრეტაცია. აქ უფრო მეტად მნიშვნელობას ესმევა ხაზი, ვიდრე რაოდენობას. კლასიფიკაციის სისტემა უფრო მეტად საკვლევი კითხვიდან და წამყვანი თემიდან შეიძლება გამომდინარეობდეს. კოდირების სემანტიკები შეიძლება მოიცავდნენ გრძელ მონაკვეთებს, ფრაზებსა და წინადადებებს. კონტენტ-ანალიზის ამ ფორმის მიზანი არ არის მონაცემების ჩვეულებრივი დანომვრა.

კვლევაში სუბიექტურობის შესამცირებლად კვლევის ავტორმა, მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის ეტაპზე შემოიყვანა 2 *თანამკვლევარი*, რომლებმაც ცალ-

⁹ “ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები” - ჯავახიშვილი, თ.ს.უ.

ცალკე, დამოუკიდებლად ნახეს ერთმა - შოუ-პროგრამა „პროფილი“-ს ყველა ვიდეოჩანაწერი, ხოლო მეორემ „ნანუკას შოუ“-ს ხუთივე გადაცემა. კვლევის ავტორს (მთავარ მკვლევარს) ნანახი ჰქონდა ორივე შოუს ყველა გადაცემა (ჯამში 10). მონაცემთა შეგროვების ეტაპის დასრულების შემდეგ, მკვლევარებმა წარმოადგინეს სპეციალურ სარეგისტრაციო ცხრილში შეტანილი პირველადი მონაცემები და შეჯერდნენ ცალკეულ ფრაზებზე, იყო თუ არა აღნიშნული დიალოგები ან ტერმინები სტერეოტიპული და ამის შემდგომ უკვე მოხდა პირველადი მონაცემებისათვის ტიპოლოგია.

კვლევის ობიექტები

კვლევისათვის შეირჩა 2 ტელეკომპანია: რუსთავი 2 და იმედი. თითოეულ მაუწყებელზე ერთი ყველაზე მეტად რეიტინგული გასართობი თოქ-შოუ, რომლებიც ბუნებრივია პრაიმ-ტაიმში, საღამოს 9 საათიდან 12 საათამდე ინტერვალში მაუწყებლობენ.

ნანუკას შოუ (იმედი) და პროფილი (რუსთავი2).

პერიოდი:

მედია მონიტორინგმა მოიცვა 5 ივნისიდან 1 ივლისამდე პერიოდი (ნანუკას შოუ) სულ 5 გადაცემის ვიდეოჩანაწერი, ხოლო პროფილის შემთხვევაში 7 ივნისიდან 11 სექტემბრამდე პერიოდის ვიდეოჩანაწერები.

გადაცემების ჩანაწერების კონტენტ-ანალიზზე ერთმანეთისგან დამოუკიდებლად სამი მკვლევარი მუშაობდა. რომლებიც ასევე დამოუკიდებლად მოპოვებული ინფორმაციას სპეციალურ ფორმაში არეგისტრირებდა, წინასწარ შეთანხმებული კოდების გარეშე, ვინაიდან ეს იყო მცირე კვლევა შესაძლოა კოდების შემოტანას გარკვეულწილად დაებლოკა მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ბოლოს მოხდა მოპოვებული მონაცემების გაცვლა და მონიშნული გამონათქვამების ტიპოლოგია, ამა თუ იმ გენდერულ სტერეოტიპად, რომელიც გამჯდარია ქართულ კულტურაში.

V. მონაცემთა ანალიზი

ნანუკას შოუ

1. 5 ივნისის ნანუკას შოუს გადაცემის პირველ ბლოკში ის ესაუბრება სამორი ბალდეს და აკეთებს განაცხადს „მიუხედავად იმისა, რომ ბებიასთან იზრდებოდი, ბევრი თავისუფალი დრო გექნებოდა, ანუ არ გყავდა მკაცრი

მამა, რომელიც გაკონტროლებდა, ხო იგი ყოველდღე- სახლში რომელ საათზე მოხვალ ? მამა ქართველი - აბა დროზე, აბა აქ მოდი, ტიპიური ბურგერი ქართველი დედ-მამა არ გყავდა მოკლედ. მიუხედავად ამისა ძალიან ჯანსაღად გაიზარდე. " მისი კომენტარი ამ შემთხვევაში სტერეოტიპულია და გულისხმობს რომ **მხოლოდ მამები არიან მკაცრები და მათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია კონტროლია.**

საგულისხმოა ასევე ქართველ დედ-მამაზე აქცენტიც, როცა სამორი არ არის ეთნიკურად ქართველი და არ ვიცით, როგორ ახდენს ის თვითიდენტიფიცირებას.

ამავე გადაცემის 53 წუთსა და 31 წამზე ანა ქურთუბაძე (თეკლა) ყვება ისტორიას, თუ როგორ ჩაეხუტა 14 გოგონა 1 ბიჭს. „ე.ი. ჩავრჩით კვარიათში, უკვე ერთი, ალბათ 30 ადამიანი იქნებოდა დარჩენილი. იმიტომ რომ ვინც გაასწრო, გაასწრო და ჩვენ დავრჩით. ყველა ერთმანეთს იცნობდა, მოკლედ ძალიან შინაურული სიტუაცია იყო და ერთ-ერთ საღამოს გადაიფრინა თვითმფრინავმა და ჩვენ შეგვეშინდა. გვეგონა, რაღაც გვბომბავდნენ. ხომ იცით როგორი ცუდი სიტუაცია იყო და მე ვიყავი ჩემს მეგობრებთან ერთად. გოგონებთან ერთად 14 გოგო ვიყავით ერთად და ეს ერთი ნიკუშა. იქ გავიცანით ეს ერთი ბიჭი და ყველა ჩავეხუტეთ ნიკუშას, 14 გოგო ერთად, რომ მივხვდით რომ საფრთხემ გაიარა ყველა მოშორდა ნიკუშას.“ ამ შემთხვევაში ბიჭი წარმოდგენილი როგორც სიმლიერის სიმბოლო, ხოლო დაკნინებულია გოგონების როლი. ანას ნიერ წარმოთქმული ფრაზა ამყარებს სტერეოტიპს რომ **მამაკაცები ძლიერი სქესის წარმომადგენლები არიან, ხოლო ქალები სუსტის.**

ამავე გადაცემაში ერთ-ერთი თემა ფეხბურთია, იმ ადამიანებს შორის ვინც ფეხბურთზე აკეთებს კომენტარს არც ერთი ქალია. აქედან ჩანს გადაცემის წამყვანის სტერეოტიპული შეხედულება - თითქოს **სპორტი და მით უფრო ფეხბურთი მხოლოდ კაცების საქმეა, ამისი ქალებს არაფერი გაეგებათ.**

ხოლო გადაცემის უკანასკნელ ნაწილში იგი მიმართავს დარბაზს მოწოდებით (109 -ე წუთზე) „2 ადამიანი ადგეს, ძლიერები ამ შემთხვევაში მამაკაცებს ან ბიჭებს ვთხოვ“. ამ შემთხვევაშიც ისევე როგორც გადაცემის პირველ ნაწილში ნაწყობს ამყარებს სტერეოტიპს რომ **მამაკაცები ძლიერები არიან, ქალები კი სუსტები.**

თუკი რაოდენობრივად წარმოვადგენთ მონაცემებს, სტუდიაში 5 ქალი და 27 მამაკაცი იყო მოწვეული.

2. 12 ივნისის გადაცემაში განსაკუთრებული დარღვევები არ ფიქსირდება. წამყვანს სტუდიაში მოწვეული ყავს - ლიუბოვ უსპენსაკია, რუსული ესტრადის მომღერალი. ასევე „მოცარტინა“ - ელისო ვირსალაძე და ქართული ესტრადის მომღერლები.

სულ : 22 მამაკაცი და 6 ქალი.

3. 19 ივლისის გადაცემა „ჭორების“ ბლოკით იხსნება. სადაც დათუნა სირბილაძე საუბარში ამბობს ფრაზას „არ არსებობს ბიჭი, გოგოს გულს რომ არ სტკენდეს“ .

ეს ფრაზა არაზუსტ წარმოდგენას ქმნის მამაკაცებზე, თითქოს ყველა კაცი ერთნაირია და მათში მჩაგვრელის ბუნებაა.

განსაკუთრებით თვალსაჩინოა გენდერული სტერეოტიპები ზაალ ხეცურიანთან, იგივე ზალიკო ბერგერთან საუბრისას. ზალიკო, როგორც წამყვანის საუბრიდან ირკვევა ოდესღაც ფარიკაობას სწავლობდა. სწორედ ამიტომ სტუდიაში იწვევს საფარიკაოდ გამოწყობილ ადამიანს და იმართება ერთგვარი სანახაობა, სადაც ზალიკო მარცხდება. ამის შემდეგ ნანუკა, დაახლოებით 56 წუთზე აკეთებს განცხადებას "მე მინდა გაგაცნო ეხლა შენ ადამიანი, რომელმაც მოგიგო, ნახე რა ნაზია, საყვარელი და პატარაა. მოკლედ ეს გოგო ქუჩაში თუ დაინახეთ, მაინც გადადიო, რა უწყინარი სახე აქვს. რატომ დადიხარ, მე შენ ადგილზე ბალეტში ვივლიდი ან რამეზე. ნახეთ როგორი ლამაზი და კარგია. მერე, მაგრამ აქ შვილო შენი სახე მაინც არ ჩანს და რამე ისეთ ადგილზე იარე, სახე რომ გამოგიჩნდეს“. ნანუკა გაუაზრებლად, თუმცა მაინც ერთგვარად შეურაცხყოფს ქალებს და თვლის რომ წარმატების მიღწევა ქალებს, მხოლოდ საკუთარი გარეგნობით, ნაზი და უწყინარი ხასიათით შეუძლიათ. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ იგი პროფესიებს მამაკაცურად და ქალურად ჰყოფს. ბალეტი ქალების საქმეა, ისევე როგორც ფარიკაობა მამაკაცების, რაც სტერეოტიპული მიდგომის გამოვლენაა.

ხოლო მოგვიწინებით 62.21 წუთზე, მას შემდეგ რაც ზალიკოს სთხოვს დალიოს მანდილოსნების სადღეგრძელო, თვითონაც ამბობს "გოგოებო გაგიმარჯოთ, ისე იყავით, რომ ვერასოდეს ვერც ერთმა კაცმა ვერ დაგჩაქროთ." ამ ფრაზაშიც ქალები დაჩაგრულად, ხოლო მამაკაცები მჩაგვრელებად მოიხსენიებიან.

ამ ბლოკში ასევე უადგილოა მანდილოსნების, სადღეგრძელოს დაღევა. ალბათ წარმოდგენელია წამყვანის მიერ მამაკაცების დღეგრძელობა სასმისებით. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს გენდერმგრძობიარობის ნაკლებობასთან. ქალებისადმი ცალკე მიძღვნილი რუბრიკები, ან თუნდაც სადღეგრძელოები უფრო გენდერული უთანასწორობის მაჩვენებელია. წამყვანს შესაძლოა ჰგონია, რომ ასე გენდერულ ბალანსს იცავს, თუმცა ეს ფაქტი გენდერული ბალანსის არასწორი გაგებაა. ეს კი ნიშნავს რომ **ქალი მამაკაცზე დაბალი რანგის არსებაა და ამის საკომპენსაციოდ ქალს რაიმე დამატებითი და განსაკუთრებული სჭირდება.** იმის საწინააღმდეგოდ, რომ ისინი ერთსადაიმთხვე ჭრილში განიხილებოდნენ. გადაცემაში მონაწილეობდა 4 ქალი და 4 კაცი.

4. 26 ივნისის გადაცემა იწყება საქართველოს რუკების ჩვენებით სხვადასხვა საუკუნესა და ეპოქაში. სათაურიც საქართველო ბოლო 1000 წელი სწორედ ამ თემას ეხმიანება. თავდაპირველად იმართება დებატები კულტურულ მემკვიდრეობაზე, რომელშიც მონაწილეობას გიორგი კალანდია და გიორგი ასათიანი. ნანუკა ძირითადად არ საუბრობს და დუმილს რამდენჯერმე იმის აღსანიშნავად არღვევს, რომ აღნიშნულ სფეროში არაკომპეტენტურია. ერთ-ერთ მომენტში 30 წუთსა და 13 წამზე აღნიშნავს „მე როგორც ქალი, განსაკუთრებით შემაქვს“. ეს ისე ჟღერს თითქოს ქალებს (ამ შემთხვევაში კი კონკრეტულად ნანუკას) დაუმსახურებლად აქებენ, მხოლოდ იმის გამო, რომ ქალები არიან. კიდევ ერთხელ გვახსენებს რამდენიმე გადაცემის წინ წარმოჩენილ სტერეოტიპს - **ქალი მამაკაცზე დაბალი რანგის არსებაა**, მას სჭირდება დამატებითი/დაუმსახურებელი წამხალისებლები, რომ მამაკაცებთან თანასწორ პირობებში აღმოჩნდეს.

გადაცემის მეორე ბლოგი დიეტაზე საუბარს ეთმობა. სტუდიაში წამყვანს მხოლოდ მამაკაცები ჰყავს მოწვეული. თითქოს ამითი ცდილობს იმის ილუსტრაციას, რომ ჭარბი წონა არა მხოლოდ ქალების, არამედ მამაკაცების პრობლემაცაა. მაგრამ არაცნობიერად კვლავ არათანაბარ პირობებში აყენებს მამრობით და მდედრობით სქესს. ჯერ მხოლოდ იმიტომ, რომ საუბრის მონაწილე მხოლოდ მამაკაცები არიან და მეორე, იყენებს ისეთ ტერმინებს როგორცაა (40.39 წუთი) "ესაა დაუსრულებელი პრობლემა, როდესაც ქალებს გვინდა ვიყოთ ფორმაში" - **ქალები სულ ფორმაში უნდა იყვნენ.** ასევე თვალშისაცემია ერთი წინადადება (41.09 წუთი) "წარმოიდგინეთ მამაკაცს აქვს იგივე პრობლემა, უწევს უარის თქმა ღვინოზე, ხინკალზე, ქაბაბზე, ჩალაღაჯზე, დილით ხაშზე" ამ შემთხვევაში ნანუკა საუბრობს ე.წ. მამაკაცურ

საკვებზე და ხაზს უსვამს, რომ მამაკაცებისთვის უფრო რთულია გარკვეულ ჩვეულებებზე უარის თქმა.

იგივე ბლოკში წამყვანი ეკითხება ირაკლი გაფრინდაშვილს, რომელმაც სულ რამდენიმე თვის წინ რამდენიმე ათეული კილოგრამი დაიკლო (60.10 წუთი) "ირაკლი, რატომ გადაწყვიტე, გოგომ გითხრა, არ მომწონხარო?" აქ კიდევ ერთხელ ხდება ხაზგასმა რომ მამაკაცებს საკუთარი გარეგნობა არ აინტერესებთ და გარეგნობაზე ზრუნვა მხოლოდ ქალების საქმეა.

გადაცემაში 6 ქალი და 13 მამაკაცი ღებულობდა მონაწილეობას. (ასევე 9 მამაკაცისგან შემდგარი ანსამბლი მუხამბაზი)

5. მონიტორინგისთვის შერჩეული ბოლო გადაცემა 7 ივლისს გავიდა ეთერში. მოგზაურობა კანარის კუნძულებზე - ასე ერქვა მთლიანად გადაცემას, სადაც 2 გოგო და 2 ბიჭი ღებულობდა მონაწილეობას.

ერთ-ერთი თამაშისას (მთელი გადაცემა სავსეა ნახევრადსპორტული თამაშებით) ნანუკა აცხადებს „დანები მხოლოდ და მხოლოდ ბიჭებს მიეცემათ,“ რომელსაც „პეტოც“ და როსტოც ეთანხმებიან და ამბობს „რა თქმა უნდა“, „დანები გოგონებს რომ ჩამოვიყვანო მერე“. აქ ორი მომენტი, ერთი შესაძლოა იგი გულისხმობდა, რომ ქალები იმდენად მოუხერხებლები არიან, რომ დანების ნდობაც კი არ შეიძლება, ან იარაღის საკუთრებაში ქონა (თუნდაც ცივი) მამაკაცების საქმეა.

ამავე გადაცემის 56-ე წუთზე, გადაცემის წამყვანი აცხადებს რომ „გოგონები უფრო გაბედულები აღმოჩნდნენ“. ძალიან მცირეა იმისი ალბათობა, რომ მას იგივე აღენიშნა მამაკაცების შემთხვევაში. კაცებს რომ გამოეჩინათ ინიციატივა, იგი ამას აღნიშვნის ღირსად არ ჩათვლიდა, მიიღებდა როგორც ჩვეულებრივი მოვლენა. ეს კი საზოგადოებაში ამყარებს სტერეოტიპულ მოსაზრებას, რომ მამაკაცები გაბედულები, ხოლო ქალები მშიშრები არიან.

პროფილი

1. 7 ივნისის პროფილი რუსთავი 2-ის 18 წლის იუბილეს აღნიშვნას მიეძღვნა. ამიტომ დიალოგების და საუბრის ნაცვლად, მთელი გადაცემა ქართველი მომღერლების კონცერტი იყო. ამიტომ გენდერული სტერეოტიპები არ ფიქსირდება.
2. პროფილში 14 ივნისს, რომელიც ცნობილი ადამიანების ცხოვრების უცნობი დეტალების გამოძვლავნებას მიეძღვნა, სტუმრობდნენ ნანკა კალატოზიშვილი და ნინი ბადურაშვილი. ერთ შემთხვევაში ნანკა ამბობს „ცოტა ბიჭივით აზროვნებო მეუბნებიან“; „კი, ბიჭივით აზროვნებ“.

აღნიშნული ნაწყვეტი დიალოგიდან, წარმოადგენს სექსისტურ შედარებას და ტიპიური სტერეოტიპული აზროვნების ნიმუშს. თითქოს **კაცი ქალზე ჭკვიანია, და თუკი ქალი აზროვნებს ე.ი. მამაკაცური ჭკუა აქვს.**

ნინი ბადურაშვილს საუბარში მაია ეკითხება - „ყოფილხარ კაცისაგან შეურაცხყოფილი?“ ნინი - „ვეყოფილვარ!“ ; მაია - „ვინ არ ყოფილა?!“ ნინი - „რავიცი, ვიღაცეები შეიძლება არ ყოფილან, მე ვყოფილვარ. მაია - „არ მჯერა.“ ნინი - „არა, ხოლო, შეიძლება არ ამბობენ“ მაია - „არ ამბობენ ჰოო“. აღნიშნული დიალოგი ამყარებს სტერეოტიპულ მოსაზრებას რომ **ყველა ქალი შეურაცხყოფილია მამაკაცებისაგან და მამაკაცები უპასუხისმგებლო და მოძალადეები არიან და მსგავსი თემების გაცხადების პრობლემა არსებობს - “არ ამბობენ”.**

სტუმრებიდან 4 ქალი 2 კი მამაკაცი იყო.

- პროფილის 21 ივნისის გადაცემა ვარსკვლავურ ქორწილებს დაეთმო. გადაცემას სტუმრობდნენ დათო ოქიტაშვილი და მისი მეუღლე. საუბარში დათო აღნიშნავს - „ყველა ადამიანს თავისი ხასიათი აქვს,“ მაია - „ყველა კაცს განსაკუთრებით“. ამ შემთხვევაში წამყვანი თავს ვერ აღწევს სტერეოტიპულ აზროვნებას და თვლის რომ **მამაკაცები განსაკუთრებული ქმნილებები არიან ქალებისაგან განსხვავებით, მათი ხასიათი/ზუნება განსაკუთრებულია.**

- 49 წუთზე მაია ეკითხება გადაცემის სტუმარს - ანი გიუნტერს „ანუ გაიცანი(მეუღლე), როცა ქალბატონი(ანი) მიბრძანდებოდა ხაშის საჭმელად?! და შეიძლება კაცს ქალი მოეწონოს, რომელსაც ხაშის სურნელება აქვს?!“ ანი პასუხობს - „არ შეიძლება არანაირად და ეს ქალი (გულისხმობს თავის თავს) მიბრძანდებოდა მერე სხვა მამაკაცთან შესახვედრად.“ დიდი ალბათობით მამაკაცი რომ წასულიყო ხაშიდან პაემანზე, არც წამყვანი და არც უშუალოდ ეს მამაკაცი აღნიშნავდა განსაკუთრებულად ამ ფაქტს. **„გარეგნობაზე ზრუნვა მხოლოდ ქალების საქმეა და ასევე ხაში მამაკაცური კერძია“.**

მაია ასათიანი ამავე გადაცემაში (12:46 წუთზე) ეკითხება ერთ-ერთი სტუმრის დათო როსტომაშვილი სმეუღლე - მაკას „მე როგორც მივხვდი თქვენს ოჯახში ძირითადად N1 საუბრობს.“ მაკა - „რა თქმა უნდა, უპირატესობა აქვს.“ დათო „რატომაც არა?!“ მაია - „ხოო, რა ვიცი“; დათო - „ეგრეა, წესით“. ამ მცირე მონაკვეთში, ისევე როგორც სხვა, ზემოთ აღნიშნული შემთხვევებისა მამაკაცი ქალზე ძლიერადაა გამოყვანილი და უპირატესად, ნომერ პირველად იწოდება. **წესით ქალი მამაკაცზეა დაქვემდებარებული, შეუძლებელია ქალი იყოს წამყვანი და ინიციატორი, რადგან ნომერ პირველი მამაკაცია.**

გადაცემაში მონაწილეობდა 7 ქალი და 9 კაცი.

5. რიგით მეხუთე გადაცემა, რომელიც მონიტორინგის სიაში მოხვდა, პირველი გადაცემის (7 ივნისი) მსგავსად მცირე კონცერტით შემოიფარგლა, რადგან სწორედ ამ გადაცემით იხურებოდა პროფილის სეზონი. ამიტომ აღნიშნული გადაცემა ჩანაცვლდა არქივში არსებული 11.10.2012 პროფილით. აღნიშნული გადაცემა უკვე სეზონის გახსნაა „ახალი პროფილი იწყება“, ასე ეწოდება გადაცემას, რომელიც სავსეა პროვოკაციებითა და ექსპერიმენტებით, როგორც წამყვანი აფასებს.

პირველი პროვოკაცია დათი როსტომაშვილს მოუწყეს, რის შედეგადაც დათო ურეკავს მეუღლეს და აგრესიული ტონით ეუბნება „მირეკავს შენი გაზრდილი შვილი და მეუბნება ცოლი მოვიყვანეო“. რას ნიშნავს ეს ფრაზა? მსმენელს ასეთ შემთხვევაში უნდა გაუჩნდეს კითხვა, რას აკეთებდა თვითონ, როცა მეუღლე შვილს ზრდიდა. ანუ სტერეოტიპი რომელიც ამ გამონათქვამით ძლიერდება, ესაა - **ბავშვის აღზრდა ქალის საქმეა და მშობლებზე თანაბრად არ ნაწილდება შვილის აღზრდაზე პასუხისმგებლობა, შესაბამისად პასუხისმგებლობაც მათ მიერ ჩადენილ სისულელეებზე მხოლოდ დედას ეკისრება.**

მეორე გათამაშებული სცენა, პროფილის გადამღებმა ჯგუფმა ხატია სიჭნავასთან ერთად მის მეუღლეს რამაზ ნოზაძეს მოუწყო. ხატია სახლიდან მაშინ გადის, როცა რამაზს ჯერ კიდევ სძინავს. ზარის ხმაზე რამაზი დგება და კარს აღებს, შემოდის ქალი, რომელიც იწყებს სახლის დალაგებს. და აკეთებს ყველაფერს, რომ რამაზის ყურადღება მიიქციოს. მოგვიანებით სახლში ბრუნდება ხატია და ცდილობს გაარკვიოს, ვინ არის ეს ქალი. რამდენიმე წუთში კი, ვითომ ამ ქალის მეუღლე შემოდის და მართავს სცენებს. ამ ქალს ათასგვარ შეურაცხმყოფელ და უცენზურო სიტყვებით მიმართავს, ასევე მისი ქცევა საკმაოდ უხეშია. მთელი სცენის განმავლობაში რამაზიც ასევე უხეშად და აგრესიულად მიმართავს ხატიას - „მოეთრიე“, „შე ჩემა“. აღნიშნული ფრაზები ერთგვარად ემოციური ძალადობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენენ, რომელიც ოჯახის ერთ-ერთი წევრის მიმართ, ამ შემთხვევაში ქალის მიმართ ხორციელდება. როგორც სტერეოტიპი, ასე შეიძლება ჟღერდეს ქალი კაცის მორჩილი უნდა იყოს და აიტანოს ყოველგვარი შეურაცხყოფა. თუ კაცი აგინებს ქალს, ეს შეურაცხყოფა კი არა ჩვეულებრივი მოვლენაა.

გადაცემაში სულ 5 ქალი და 8 მამაკაცი მონაწილეობდა.

VI. შედეგები

კვლევის შედეგად იკვეთება, რომ სატელევიზიო თოქ-შოუების (ნანუკას შოუ, პროფილი) წამყვანები, არაცნობიერად ხელს უწყობენ გენდერული სტერეოტიპების გავრცელებას. ისინი საუბარში იყენებენ სექსისტურ გამონათქვამებს, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციას გარკვეულ ერთ-ერთი სქესის ადამიანების მიმართ. ქვემოთ მოცემულია სტერეოტიპები რომლებიც კვლევის შედეგად გამოიკვეთა:

ნანუკას შოუ:

- მხოლოდ მამები არიან მკაცრები და მათი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია კონტროლია.
- მამაკაცები ძლიერი სქესის წარმომადგენლები არიან, ხოლო ქალები სუსტის.
- ურთიერთობებში წამყვანი როლი და პასუხისმგებლობა მამაკაცებს ეკისრებათ.
- სპორტი და მით უფრო ფეხბურთი მხოლოდ კაცების საქმეა, ამისი ქალებს არაფერი გაეგებათ.
- მამაკაცები ძლიერები არიან, ქალები კი სუსტები.
- წარმატების მიღწევა ქალებს, მხოლოდ საკუთარი გარეგნობით, ნაზი და უწყინარი ხასიათით შეუძლიათ;
- ბალეტი კი ქალების საქმეა, ისევე როგორც ფარიკაობა მამაკაცების;
- ქალები დაჩაგრულად, ხოლო მამაკაცები მჩაგრელებად მოიხსენიებიან.
- ქალი მამაკაცზე დაბალი რანგის არსებაა და ამის საკომპენსაციოდ ქალს რაიმე დამატებითი და განსაკუთრებული სჭირდება.
- ქალი მამაკაცზე დაბალი რანგის არსებაა.
- ქალები სულ ფორმაში უნდა იყვნენ
- მამაკაცებს საკუთარი გარეგნობა არ აინტერესებთ და გარეგნობაზე ზრუნვა მხოლოდ ქალების საქმეა.
- ქალები იმდენად მოუხერხებლები არიან, რომ დანების ნდობაც კი არ შეიძლება
- მამაკაცები გაბედულები, ხოლო ქალები მშიშრები არიან.

პროფილი:

- კაცი ქალზე ჭკვიანია, და თუკი ქალი აზროვნებს ე.ი. მამაკაცური ჭკუა აქვს.

- ყველა ქალი შეურაცხყოფილია მამაკაცებისაგან და მამაკაცები უპასუხისმგებლო და მოძალადეები არიან.
- მამაკაცები განსაკუთრებული ქმნილებები არიან ქალებისაგან განსხვავებით, მათი ხასიათი/ბუნება განსაკუთრებულია.
- გარეგნობაზე ზრუნვა მხოლოდ ქალების საქმეა და ასევე ხაში მამაკაცური კერძია.
- წესით ქალი მამაკაცზე დაქვემდებარებული, შეუძლებელია ქალი იყოს წამყვანი და ინიციატორი, რადგან ნომერ პირველი მამაკაცია.
- ბავშვის აღზრდა ქალის საქმეა, შესაბამისად პასუხისმგებლობაც მათ მიერ ჩადენილ სისულელეებზე მხოლოდ დედას ეკისრება.
- ქალი კაცის მორჩილი უნდა იყოს და აიტანოს ყოველგვარი შეურაცხყოფა. თუ კაცი აგნებს ქალს ეს შეურაცხყოფა კი არა ჩვეულებრივი მოვლენაა.

კვლევაში გამოვლენილი სტერეოტიპების ნაწილი, ასევე გვხვდებოდა „მედიის განვითარების ფონდის“ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებშიც. ასეთია¹⁰:

1. ქალი მამაკაცზე დაბალი რანგის არსებაა და ამის საკომპენსაციოდ ქალს რაიმე დამატებითი და განსაკუთრებული სჭირდება (*ქალი მამაკაცზე დაბალი რანგის არსებაა.*)
2. მამაკაცებს საკუთარი გარეგნობა არ აინტერესებთ და გარეგნობაზე ზრუნვა მხოლოდ ქალების საქმეა (*ქალს მარტო ჩაცმა-დახურვა აინტერესებს, ქალში მთავარი გარეგნობაა*);
3. კაცი ქალზე ჭკვიანია, და თუკი ქალი აზროვნებს ე.ი. მამაკაცური ჭკუა აქვს (*სერიოზულ თემებზე საუბარი მხოლოდ მამაკაცებს ხელეწიფებათ და პოლიტიკაზე ქალებს მოსაზრებების გამოთქმა არ შეუძლიათ*);
4. ბავშვის აღზრდა ქალის საქმეა, შესაბამისად პასუხისმგებლობაც მათ მიერ ჩადენილ სისულელეებზე მხოლოდ დედას ეკისრება (*ბავშვის აღზრდა მხოლოდ დედის საქმეა, ბავშვთან დაკავშირებულ ნებისმიერ პრობლემაში დედაა დამნაშავე, რადგან მამას უფრო დიდი მისია, მუშაობა აკისრია*)

რაც შეეხება გადაცემაში მონაწილე სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ადამიანების გენდერულ ბალანსს. „ნაწყას შოუ“-ში სულ 23 ქალი და 68 მამაკაცი მონაწილეობდა. ხოლო სტუმრად „პროფილი“-ს ეთერში 46 ქალი და 45 მამაკაცი. პირველ შემთხვევაში გენდერული დისბალანსი საკმაოდ ცხადია, მამაკაცი

¹⁰ წინადადებების მეორე, ფრჩხილებში მოთავსებული ნაწილი, ქეთი მსხილამის მიერ ჩატარებულ კვლევაში გამოკვეთილი სტერეოტიპებია.

მონაწილეები ქალებზე 74,7 პროცენტით მეტი არიან. „პროფილი“-ს შემთხვევაში მონაწილეები სქესის მიხედვით დაბალანსებულები არიან.

VII. ბიბლიოგრაფია

1. ბრანდერი პატრიცია. კომპასი: სახელმძღვ. ადამიანის უფლებათა განათლ. სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით / ავტ.: პატრიცია ბრანდერი, რუი გომესი, ელლი კინი და სხვ. ; [მთარგმნ.: მაკა წულუკიძე, ტატა პატარაია ; რედ.: პატრიცია ბრანდერი და სხვ., ქართ. გამოც. რედ.: გიორგი კენჭოშვილი] ; მხატვ.: პანჩო - [თბ.], 2004.
2. პოლიტიკაში ქალთა დაწინაურების კამპანია და პოლიტიკოსის უნარ-ჩვევები. – [სახელმძღვანელო ქალთა განათლებისა და ინფორმაციის საერთაშორისო ცენტრი]. – თბილისი. – 2006.
3. “გენდერული სტერეოტიპები ქართულ მედიაში“ . მედიის განვითარების ფონდის (MDF). 2011 ქეთევან მსხილაძე.
4. „შემეცნებით-გასართობი თოქ-შოუები და მედია-სტანდარტი“, 2012. ნინია კაკაბაძე.
5. მაუწყებელთა ქცევის კოდექსი
6. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია
7. ფსიქოლოგიის კვლევის მეთოდები . ლ.ჯავახიშვილი -2003 წელი
8. თვისებრივი კვლევის მეთოდები. თინათინ ზურაბიშვილი, თბილისი. 2006 წელი.